ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1436395

ნომერი: AR1244332

თარიღი : 15.08.2014

გაცემის თარიღი : 19.08.2014

გაცნობის თარიღი : 20.08.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა 9 აპრილი , N 3 (ყოფ. ჩიტაძის N3)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიტაძე , N 5 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 17 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 19-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 19 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მარტიაშვილი პ/ნ 01001014056
- თბილისი საბურთალოს ქ. N 42 კორ. 2 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ

თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის N24. 16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2 მუხლის ,,ა" პუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის ფუნქციაა დადგენილი წესით სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ–სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით მათში ცვლილებების შეტანა. ამავე პუნქტის ,,ფ" ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით სამსახურს თავისი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა–ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. აღნიშნული ფუნქციების განხორციელების მიზნით სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება არ დაკმაყოფილდეს მოქ. დ. მარტიაშვილის 15.08.14 წლის N AR1244332 განაცხადი ქ. თბილისში, 9 აპრილის ქ. N 3–ში არსებულ შენობაზე კონდიციონერისა და მაცივრის ძრავის მოწყობასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.